საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თეძამი

თეძამი, მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში, გორის და კასპის მუნიციპალიტეტებში. მდ. მტკვრის მარჯვ. შენაკადი (ერთვის სოფ. მეტეხთან). სიგრძე 51 კმ აუზის ფართობი 394 კმ². სათავეს იღებს თრიალეთის ქედის ჩრდ. კალთაზე 2300 მ სიმაღლეზე. საზრდოობს თოვლის, წვიმისა და მიწისქვეშა წყლით. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე, წყალმცირეა ზამთარსა და ზაფხულ-შემოდგომაზე. საშ. წლ. ხარჯი შესართავთან 2,32 მ³/წმ. ზამთრობით ჩნდება ყინულნაპირისი, თოში. წყალი სუფთა და გამჭვირვალეა. იყენებენ სარწყავად.

მდ. თ. და თეძმის ხევი მოხსენიებულია ვახუშტი ბატონიშვილის (XVIII ს.) შრომაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა".

ი. აფხაზავა